

შპს გლობალ კომპანი

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლის
ფინანსური ანგარიშგება

მსს ფასს

სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
2.1. წარდგენის საფუძვლები	8
2.2. მომზადების საფუძვლები	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
2.4. ამონაგების აღიარება	8
2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	9
2.6. მოგების გადასახადი	9
2.7. ძირითადი საშუალებები	9
2.8. არამატერიალური აქტივები	10
2.9. აქტივების გაუფასურება	10
2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11
2.11. კაპიტალი	11
2.12. უცხოური ვალუტა	11
3. ძირითადი საშუალებები	12
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
5. ფულადი სახსრები	13
6. სესხები	13
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
8. შემოსავალი რეალიზაციიდან	14
9. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	14
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
11. მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	15
12. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	15
13. მოგების გადასახადი	16

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „გლობალ კომპანი“-ს ხელმძღვანელობას

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „გლობალ კომპანი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

გარიგება ჩავატარეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

რადგან ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ მოგვეთხოვება თქვენ მიერ ანგარიშგების მოსამზადებლად წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის გადამოწმება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგებები ფასს-ის მიხედვით მომზადებული.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

30 ნოემბერი 2020 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		678	830	711
ძირითადი საშუალებები	3	288,389	453,514	361,354
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		289,067	454,344	362,065
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		5,037	2,016	160
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		8,635	20,645	6,348
საგადასახადო ავანსი		17,148	29,328	5,124
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	279,630	326,562	130,899
ფული და ფულის ექვივალენტები	5	72,497	11,725	125,068
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		382,947	390,276	267,599
მთლიანი აქტივები		672,014	844,620	629,664
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		23,282	23,282	14,899
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		536,617	569,062	393,334
მთლიანი კაპიტალი		559,899	592,344	408,233
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	6	4,541	79,690	151,203
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		4,541	79,690	151,203
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	6	75,148	71,513	32,835
მიღებული ავანსები		5,441	5,481	5,489
გადასახდელი ხელფასები		681	5,448	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	21,463	90,144	31,904
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4,841	-	-
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		107,574	172,586	70,228
ვალდებულებები		107,574	172,586	70,228
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		672,014	844,620	629,664

ინგა შუბითიძე

დირექტორი

30 ნოემბერი 2020 წელი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	პენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	3,436,979	3,327,013
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(2,747,456)	(2,760,487)
მთლიანი შემოსავალი		689,523	566,526
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		-	(85)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(385,467)	(330,371)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(385,467)	(330,456)
საოპერაციო მოგება / ზარალი		304,056	236,070
ფინანსური შემოსავლები		709	45
ფინანსური ხარჯები		(8,313)	(12,141)
მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	11	(11,320)	(11,329)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	12	(42,366)	(10,520)
მოგება დაბეგვრამდე		242,766	202,125
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(21,106)	(597)
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		221,660	201,528
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		221,660	201,528

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14,899	393,334	408,233
წლის მოგება/ზარალი	-	201,528	201,528
წლის სხვა შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	201,528	201,528
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	8,383	-	8,383
დივიდენდები	-	(25,800)	(25,800)
ოპერაციები მფლობელებთან	8,383	(25,800)	(17,417)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,282	569,062	592,344
წლის მოგება/ზარალი	-	221,660	221,660
წლის სხვა შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	221,660	221,660
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	-	-	-
დივიდენდები	-	(254,105)	(254,105)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(254,105)	(254,105)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,282	536,617	559,899

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	242,766	202,125
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	43,407	51,463
ფინანსური ხარჯი	8,313	12,141
მოგების გადასახადის ხარჯი	(21,106)	(597)
ფინანსური შემოსავალი	(709)	(45)
მოგება / ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	3,433	2,054
	276,104	267,141
სავაჭრო და სხვა მისაღები მოთხოვნების ცვლილება	45,742	(189,575)
ავანსებისა და სხვა მოკლევადიანი აქტივების ცვლილება	12,010	(14,297)
მარაგების ცვლილება	(3,021)	(1,856)
ავანსების ცვლილება	(40)	(8)
საგადასახადო ავანსების ცვლილება	12,180	(24,204)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ცვლილება	(68,945)	55,284
გადასახდელი ხელფასების ცვლილება	(4,767)	5,448
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ცვლილება	4,841	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	274,104	97,933
გადახდილი პროცენტები	(8,313)	(12,141)
მიღებული პროცენტები	709	45
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	266,500	85,837
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(271)
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(143,472)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	121,869	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	121,869	(143,743)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	6,775	36,591
გადახდილი სესხი	(80,267)	(74,611)
შემოსავალი საწესდებო კაპიტალის გაზრდიდან	-	8,383
გადახდილი დივიდენდები	(254,105)	(25,800)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(327,597)	(55,437)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	60,772	(113,343)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	11,725	125,068
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	72,497	11,725

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გლობალ კომპანი წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2011 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საექსპედიტორო, საბროკერო და გადაზიდვის მომსახურება. კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2019 %	2018 %
62006018572, ლევან თორია	50.00	50.00
42001015624, ლევანი გოცირიძე	50.00	50.00
სულ	100.00	100.00

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

2.2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.

2.4. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი

გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე აღრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. კომპანიის მიერ სესხი აღებულია ბანკისგან უცხოურ ვალუტაში, დოლარში. 2019 წელს კომპანიაზე სესხები არ გაცემული. მხოლოდ ძირითადი თანხისა და სესხის პროცენტის დაფარვა ხდებოდა.

2.6. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

დივიდენდი	ლარი
განაწილებული დივიდენდები (2019)	254,105
განაწილებული დივიდენდები (2018)	25,800
სულ	279,905

2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა

ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	4 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი ¹
შენობა-ნაგებობები	20 წელი

2.8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

2.9. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება უდიდესი თანხით აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება. ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რომლის დროსაც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

¹ განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით

2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება საწვავებისგან და მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებისგან.

2.11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

2.12. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 და ერთი აზერბაიჯანული მანათისთვის - 1,6861 ლარს. (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი, ერთი ევრო 3.0701, ერთი მანათი 1,5786).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება						
ღირებულება 01.01.2018	93,908	69,783	5,638	5,710	226,987	402,026
დამატებითი შესყიდვები 2018	29,982	17,764	55	390	121,901	170,092
რეალიზაცია	-	-	-	-	(35,467)	(35,467)
31 დეკემბერი 2018	123,890	87,547	5,693	6,100	313,421	536,651
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018	-	3,672	1,089	1,428	34,483	40,672
ცვეთა 2018	-	4,672	1,438	1,428	43,773	51,311
რეალიზებული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა 2018	-	-	-	-	(8,846)	(8,846)
31 დეკემბერი 2018	-	8,344	2,527	2,856	69,410	83,137
წმინდა საბალანსო ღირებულება						
01 იანვარი 2018	93,908	66,111	4,549	4,282	192,504	361,354
31 დეკემბერი 2018	123,890	79,203	3,166	3,244	244,011	453,514
ისტორიული ღირებულება						
ღირებულება 01.01.2019	123,890	87,547	5,693	6,100	313,421	536,651
დამატებითი შესყიდვები 2019	-	-	2,246	-	35,900	38,146
რეალიზაცია	(123,890)	(17,764)	-	(390)	(29,158)	(171,202)
31 დეკემბერი 2019	-	69,783	7,939	5,710	320,163	403,595
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	-	8,344	2,527	2,856	69,410	83,137
ცვეთა 2019	-	3,673	1,509	1,479	36,594	43,255
რეალიზებული ძირ. საშუალებების დაგროვილი ცვეთა 2019	-	-	-	(51)	(11,135)	(11,186)
31 დეკემბერი 2019	-	12,017	4,036	4,284	94,869	115,206
წმინდა საბალანსო ღირებულება						
01 იანვარი 2019	123,890	79,203	3,166	3,244	244,011	453,514
31 დეკემბერი 2019	-	57,766	3,903	1,426	225,294	288,389

ძირითადი საშუალებების შეძენა 2019

2019 წლის 26 ნოემბერს კომპანიის მიერ შეძენილ იქნა ტრაილერი, სახელმწიფო ნომრით ZZ920ZV, რომლის ღირებულება შეადგენდა 29,965.45 ლარს ტრანსპორტირების ღირებულების ჩათვლით. (ტრანსპორტირების ღირებულება - 6,549.20 ლარი.)

ძირითადი საშუალებების გაყიდვა 2019

2019 წლის 11 მარტს კომპანიის მიერ გაყიდულ იქნა ტრაილერი DAFXF95.430, საბალანსო ღირებულებით - 13,689.67 ლარი. რეალიზაციის ღირებულებამ შეადგინა 13,559.32 ლარი. (2018 წლის ბოლოსათვის მოცემული ტრაილერის საბალანსო ღირებულება შეადგენდა 14,494.93 ლარი).

ასევე, 2019 წლის 27 აგვისტოს კომპანიამ მოახდინა მიწის ნაკვეთის რეალიზაცია საკადასტრო კოდით 04.01.03.671. მიწის საბალანსო ღირებულება იყო 123,890.08ლარი, ხოლო გაყიდვის ღირებულება - 100,000 ლარი.

ძირითადი საშუალებების შეძენა 2018

2018 წლისათვის კომპანიამ შეიძინა 3 ტრაილერი საერთო ღირებულებით 96,264.58 ლარი. ასევე, კომპანიამ შეიძინა ორი მისაბმელი ღირებულებით 20,636.90 ლარი.

ძირითადი საშუალებების გაყიდვა 2018

2018 წლის 14 აგვისტოს რეალიზებულია ტრაილერი DAF XLRTE47XSOE661245 საბალანსო ღირებულებით 17,499.33 ლარი. სარეალიზაციო ღირებულება - 11,864.41 ლარი. 2018 წლის 7 ივნისს ასევე რეალიზებულ იქნა მისაბმელი - YE13B0070AA406407, რომლის საბალანსო ღირებულება იყო 9,121.69 ლარი, ხოლო სარეალიზაციო ფასი - 4,237.29 ლარი.

კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული სასესხო ვალდებულებით.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი რომელიც წარმომოხილია არაუგვიანეს 6 თვისა. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2019 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 45 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა (2018 წელი - 40 დებიტორი). დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	245,569	310,467
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	34,061	16,095
მთლიანი მოთხოვნები	279,630	326,562

5. ფულადი სახსრები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული საღაროში	979	139
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	16,998	6,102
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	54,520	5,484
სულ ფულადი ნაკადები	72,497	11,725

6. სესხები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სესხი 1	-	14,912
სესხი 2	60,878	105,621
სესხი 3	18,811	30,670
სულ სესხები	79,689	151,203

	სესხის თანხა USD	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	კრედი- ტის ვადა (დღე)	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	უზრუნველ- ყოფილი
სესხი 1	30,000	05.07.2016	10.06.2019	1069	9%	-	არა
სესხი 2	55,000	25.12.2017	25.12.2020	1096	7%	8.45%	არა
სესხი 3	15,000	15.03.2018	15.03.2021	1096	7%	7.63%	არა

კომპანიისთვის სესხის აღების მიზანს წარმოადგენდა ძირითადი საშუალებების შეძენა.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2019 წლის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ასახულია დაახლოებით 46 კრედიტორის კრედიტორული დავალიანება (2018 წელი - 50 კრედიტორი). კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, კრედიტორთა გარკვეული რაოდენობის დავალიანების დაფარვა ხდება ერთი კვირის ვადაში.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან	2,973,885	2,773,344
შემოსავალი შიდა გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო / საექსპედიტორო მომსახურებიდან	463,094	553,669
სულ შემოსავალი	3,436,979	3,327,013

9. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	1,956,905	2,013,537
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი - ინდ. მეწარმეები	225,502	97,670
გზატარგებლობის ბარათების და სხვა ხარჯები	32,889	22,341
საწვავის ხარჯი	279,514	293,699
მძღოლებისა და ბროკერების შრომის ანაზღაურების ხარჯი	114,448	150,295
მივლინების ხარჯი	39,987	35,772
სატვირთო ავტომობილების ცვეთისა	36,594	43,773
სატვირთო ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯები	61,617	103,400
სულ თვითღირებულება	2,747,456	2,760,487

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ადმინისტრაციული ხელფასი და სხვა შეღავათები	284,365	254,287
ადმინისტრაციული იჯარა	-	5,750
ცვეთის ხარჯები	6,813	7,690
სარემონტო ხარჯები	-	1,400
საბაჟო ხარჯები	-	2,838
ბუღალტრული მომსახურების ხარჯები	2,966	15,254
საპენსიო ხარჯები	7,592	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,237	1,601
საოფისე აღჭურვილობის ხარჯები	-	2,812
კომუნიკაციის ხარჯები	5,827	4,637
უსაფრთხოების ხარჯები	1,017	4,004
დომენის რეგისტრაციის ხარჯები	30	60
კომუნალური ხარჯები	3,027	2,553
დაზღვევის ხარჯები	27,659	15,308
კომპიუტერის ხარჯები	393	876
მივლინების ხარჯები	15,846	861
ბანკის საკომისიო	2,439	1,842
საკანცელარიო ხარჯები	2,102	1,519
ავტომობილის ხარჯები	945	1,063
შემოწირულობა	50	50
სხვა ჯარიმები	10,000	886
იურიდიული მომსახურების ხარჯები	1,694	2,880
სხვა ხარჯები	9,160	2,200
საგადასახადო ხარჯები	2,305	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	385,467	330,371

11. მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	9,076	3,187
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	2,244	8,142
სულ მოგება/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	11,320	11,329

12. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
რეალიზებული ძირითადის საშუალებების სარეალიზაციო ფასი	117,659	16,102
რეალიზებული ძირითადის საშუალებების თვითღირებულება	(160,015)	(26,621)
მცირე ოდენობის მოთხოვნების/ვალდებულებების ნაშთების ჩამოწერა	(10)	(1)
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(42,366)	(10,520)

13. მოგების გადასახადი

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გამოცხადებული დივიდენდი	254,105	25,800
გადასახადი გამოანგარიშებული 15/85 განაკვეთით	44,842	4,553
წინა პერიოდის დაუბეგრავი დივიდენდი	(23,736)	(3,956)
მოგების გადასახადის ხარჯი/ (ბენეფიტი)	21,106	597